თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №11

თბილისი, 20 ოქტომბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ცინცაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე მაჩიტიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – ნინო ღუდუშაური;
- „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – ქეთი ჩადუნელი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – მარინა ბენდელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და აგიტაციის ფაქტები:**
   - თელავის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ოფისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი სესიაშვილთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შეხვედრის თაობაზე;
   - შესაძლო პოლიტიკური მოტივით ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში მცხოვრებ მოსწავლეთათვის გამოყოფილი სასკოლო ავტობუსის მოხსნის თაობაზე;

- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი საშეშე მერქნის მოსამარაგებლად გამოყოფილი ბილეთების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე.

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ცესკო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ოფისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი სესიაშვილთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შეხვედრასთან დაკავშირებით. ბატონმა შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული იყო საქმის ზეპირი განხილვა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ქმედების შესწავლასთან დაკავშირებით და განხილვის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ამასთან, ბატონმა შალვამ სამდივნოს თხოვა, ცესკო-ს მოეწოდებინა უწყებათაშორისი კომისიისთვის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საქმის შესწავლის შედეგები.

კომისიამ მოისმინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაცია ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში მცხოვრებ მოსწავლეთათვის გამოყოფილი სასკოლო ავტობუსის მოხსნასთან დაკავშირებით. ზემომითითებულ საკითხთან მიმართებით ქალბატონმა ეკა მაჩიტიძემ განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და არანაირად არ უკავშირდება პოლიტიკურ პროცესებს. მისი განმარტებით, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში სსიპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა პამაჯის საჯარო სკოლას" ემსახურება ერთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ახორციელებს მოსწავლეების ტრანსპორტირებას სოფელ ორალიდან სოფელ პატარა პამაჯში და პირიქით, სოფელ პატარა პამაჯიდან სოფელ ორალში.

ქალბატონი ეკა მაჩიტიძის განმარტებით, სოფელ ყულალისიდან სოფელ პატარა პამაჯამდე მანძილი არ აკმაყოფილებს ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის" ფარგლებში დამტკიცებულ დამატებით და სავალდებულო კრიტერიუმებს და, შესაბამისად, სოფელ ყულალისიდან სოფელ პატარა პამაჯში მოსწავლეების ტრანსპორტირება არ ხორციელდებოდა. მიკროავტობუსში თავისუფალი შესაბამისი ადგილების არსებობის შემთხვევაში გზად მიმავალი ბავშვები მძღოლს თავისი ინიციატივით გადაჰყავდა. წინასწარ მოძიებული ინფორმაციით, 17 ოქტომბერს მძღოლმა სამგზავრო ადგილების არქონის გამო არ გაუჩერა ყულალისელ მოსწავლეებს მიკროავტობუსი. გამომდინარე აქედან, რაიმე სახის დისკრიმინაციულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო დეტალური მონიტორინგი, თუ იყო მსგავსი შემთხვევა მანამდეც (არჩევნებამდე) და 17 ოქტომბრის შემდეგ, რადგან უნდა გამოირიცხოს რაიმე სახის დისკრიმინაციული ქმედება. არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკურმა

ჯგუფმა ეს თემა პროვოცირების საგნად აქციოს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგები, თუ რომელმა პარტიამ ხმების რა რაოდენობა მიიღო კონკრეტულ საარჩევნო უბანზე, არცერთ შემთხვევაში არ უნდა პოვებდეს ასახვას ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებაზე. მათი ნების გამოვლენას პატივი უნდა სცეს როგორც ხელისუფლებამ, ისე პოლიტიკურმა ჯგუფებმა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი დაეთანხმა ბატონი შალვას მოსაზრებას და განაცხადა, რომ უწყება დეტალურად შეისწავლიდა საქმეს და შედეგებს აცნობებდა კომისიას.

დღის წესრიგით განსაზღვრულ შემდეგ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი საშეშე მერქნის მოსამარაგებლად გამოყოფილი ბილეთების გაცემასთან დაკავშირებულ პრობლემას, სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონი ნიკოლოზის განცხადებით, აღნიშნული საკითხი შედის არა გამგებლის წარმომადგენლის, არამედ სატყეო სააგენტოს კომპეტენციაში. ამასთან, ტყეკაფით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთის მიღების მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სატყეო სააგენტოს ადგილობრივ ორგანოს, რისთვისაც, თავის მხრივ, დაწესებულია ბანკში ერთჯერადი გადასახადი. ბატონი ნიკოლიზის განცხადებით, მუნიციპალიტეტიდან მისთვის მიწოდებული ინფორმაციით, მითითებული სოფლის მოსახლეობისთვის გამოყოფილია შესაბამისი ბილეთები და საჭიროა მხოლოდ ბანკში მისვლა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რის შემდეგაც ისინი შეძლებენ მოცემული ბილეთის მიღებას და სარგებლობას. შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით საშეშე მერქნით სარგებლობის ბილეთების გაცემის ან არგაცემის ფაქტი არ დასტურდება.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ კომისიას გააცნო წინა სხდომაზე განხილულ თემაზე (11 ოქტომბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი აბუსერიძის შტაბთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის მომხდარი ინციდენტის თაობაზე) შუალედური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სსკ 125-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს გამოძიება, დაკითხულნი არიან ინციდენტში მონაწილე პირები და თვითმხილველები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება გამოძიების მოკლე ვადებში დასრულება.

ამის შემდეგ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) ისაუბრა ცესკო-ში საჩივრების განხილვასა და საუბნო საარჩევნო

კომისიებში წარდგენილი დამკვირვებლების მომზადების (კვალიფიკაციის) დონეზე; ქალბატონმა ნატალია ხოხიაშვილმა („ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“) ყურადღება გაამახვილა მედიაში სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ ვიდეო- და ფოტომასალაზე კენჭისყრის დღეს ჩადენილ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს მიმართა განცხადებით, მათი პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელზე სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციებზე დაეწყოთ შესაბამისი მოკვლევა. საკითხთან დაკავშირებით პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მზაობა გამოხატეს და სთხოვეს ბატონ მამუკას, წარედგინა შესაბამისი მოტივირებული განცხადება.

ქალბატონმა ნინო ჩარკვიანმა („სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“) კითხვით მიმართა ბატონ შალვა ხუციშვილს, 22 ოქტომბერს 4 საარჩევნო უბანზე დაგეგმილ განმეორებით კენჭისყრასთან დაკავშირებით პოლიციის მიერ თუ იქნებოდა დამატებითი ღონისძიებები გატარებული. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქალბატონ ნინოს განუმარტა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოიცემოდა შესაბამისი ბრძანება, რომლის მიხედვითაც პოლიცია იმოქმედებდა საარჩევნო უბნებზე. ბატონი შალვას განცხადებით, პოლიცია მაქსიმალურად მობილიზებული იქნებოდა როგორც კენჭისყრის მიმდინარეობისას, ისე ხმების დათვლის პროცესში რაიმე სახის ინციდენტის მაქსიმალურად გამორიცხვის მიზნით.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა მიმართა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, 22 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნების განმეორებით ტურებზე მათი წარმომადგენლებიც აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული საარჩევნო პროცესის თავისუფალ, მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად.

სამუშაო შეხვედრის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისა და გაწეული შრომისათვის.

მომდევნო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 27 ოქტომბერს, 18:00 საათზე, რის შესახებაც კომისიის სამდივნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთ წინასწარ ინფორმირებას უზრუნველყოფდა.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

– (ა)იპ „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი.

სხდომა დასრულდა 19:00 საათზე

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი: